ბრძანება:**№24. 2424022001**
თარიღი:**22/01/2024**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახლების საერთო კრებების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების ინიცირების შესახებ საქმიანობის წარმართვაზე (სხდომის თავმჯდომარეობა) უფლებამოსილების მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის", საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის", „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის N654 დადგენილებისა და "დასახლების საერთო კრების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ" ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 15 თებერვალის N25 დადგენილების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1.ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 18 იანვრის N№24.242401825 ბრძანებით დამტკიცებულ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახლების საერთო კრებების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების ინიცირების შესახებ საქმიანობის წარმართვაზე (სხდომის თავმჯდომარეობა) უფლებამოსილება მიენიჭოს შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებს დანართი N1-ის შესაბამისად.

2. ადმინისტრაციულ ერთეულებში, რომლებშიც მერის წარმომადგენლების უფლებამოსილება დროებით შეჩერებულია დასახლების საერთო კრების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების ინიცირების შესახებ საქმიანობის წარმართვაზე (სხდომის თავმჯდომარეობა) უფლებამოსილება მიენიჭოს შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მოვალეობის შემსრულებელ პირს.

3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 180-ე მუხლის პირველი ნაწილის და საქართველოს კანონის ,,საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი” 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად გაცნობის დღიდან 1 თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. ზუგდიდი, რ. ლაღიძის ქ. N12).

მამუკა წოწერია

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი